პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! სამშაბათი, 27 იანვარი 1925 წ. წელიწადი მეხუთე ფასი 3 კაპ.

# წითელი დროშა

№ 19 (707) 1 და 2 ქ. მ. ც. პოლიტ-განების ყოველდღ. გაზეთი
რედაქც. მის. ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელ. 2—24
განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვონეც'. ნომპარელის სტრიქონ სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 საათამდე

## ჩვენი მეურნეობა იზრდება და მტკიცდება.

არ არის ისეთი დღე, რომ რადიომ არ მოგვიტანოს ცნობა საბჭოთა ხელისუფლების ამა თუ იმ მიღწევებზე აღმშენებლობის დარგში. თანდათანობით მუშურ-გლეხური ქვეყანა მიიწევს წინ თავისი მეურნეობის აღდგენის გზაზე. დღითი დღე ფართოვდება შემოქმედებითი მუშაობის ფარგლები და საბჭოთა ფედერაცია იკურნება იმპერიალისტურ და სამოქალაქო ომებში მიღებულ ჭრილობებისაგან.

მტკიცე ფული, მტკიცე სახელმწიფო გასავალ-შემოსავალი, მძიმე მრეწველობის წინსვლა, სასოფლო მეურნეობის გაუმჯობესება და სხვ.—აი საბჭოთა ფედერაციის პოლიტიკურ-ეკონომიურ აღორძინების და განმტკიცების პირველი სურათი. ყველაფერი ეს, რასაკვირველია, არ არის საკმარისი.

ჩვენ დავაყენეთ აღდგენის გზაზე მთავარი ძალები ჩვენი ეკონომიური ცხოვრებისა, როგორც მძიმე და მსუბუქი მრეწველობა, ტრანსპორტი, ფინანსები, შინა ვაჭრობა. ყოველივე ეს კი ცხადია თავის მხრივ მოითხოვს სხვა დარგების აღდგენასაც.

საერთო ეკონომიურ აყვავებასთან იზრდება ჩვენი სავაჭრო ურთიერთობანი სხვა ქვეყნებთან. როგორც ვიცით საბჭოთა კავშირის სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოები დიდ გასავალს პოულობს მსოფლიო ბაზარზე.

ამიტომაც ჩვენ წინაშე სდგას, რაც შეიძლება გავაფართოვოდ საგარეო ვაჭრობა და ყოველ მხრივ ხელი შევუწყოთ ას. ამ მიზნით მუშურ გლეხური მთავრობამ უკვე გადადგა სათანადო ნაბიჯები. რადიომ მოგვიტანა ცნობა, რომ ლენინგრადში უკვე შეუდგენ ოთხი დიდ სავაჭრო გემების შენებას.

იმპერიალისტურ და სამოქალაქო ომის დროს ჩვენი სავაჭრო ფლოტი, როგორც ბალტიის ზღვაზე, ისე შავზე თითქმის განადგურდა. ზოგი დაიღუპა ბრძოლების დროს, ზოგი კი იმპერიალისტურ ქვეყნებმა დაიტაცეს. ეს გარემოება კი დიდათ ხელს უშლის ჩვენს საგარეო ვაჭრობის განვითარებას. საქონელი საზღვარ-გარეთიდან ჩვენ მოგვაქვს მეტ ნაწილად უცხოეთის გემებზე, რაც დიდ ხარჯებს იწვევს. რომ გვქონდეს საკუთარი სავაჭრო ფლოტი, მაშინ მოტანილი საქონელიც იაფი იქნებოდა და ჩვენც საშვალება გვექნებოდა საკუთარი ნაწარმოების მეტი რაოდენობის გატანისა. ყველაფერი ეს კარგად აქვს გათვალისწინებული საბჭოთა მთავრობას.

ამიტომაც ის შეუდგა სავაჭრო ფლოტის შენებას. პირველი ნაბიჯი ამ მხრივ გადადგმულია.

ოთხი გემის შენებას უკვე შეუდგენ. ამასთანავე ერთად შემუშავდება გეგმა, რომლის მიხედვით უახლოეს წლებში უნდა შეიქმნეს საკმაო რაოდენობა სავაჭრო გემების. საბჭოთა კავშირის საზღვაო ტრანსპორტის ცენტრალურ სამმართველოს უფროსმა ამხ. სერგეევმა განაცხადა, რომ საგარეო ვაჭრობისათვის განზრახულია 100 გემის აშენება.

სავაჭრო ფლოტის შექმნა დიდათ წასწევს ჩვენს საგარეო ვაჭრობას, განსაკუთრებით ხელს შეუწყობს ჩვენ გლეხობას, მის მეურნეობის აყვავებაში.

გლეხი დიდათ დაინტერესებულია საგარეო ვაჭრობაში, ვინაიდან მის ნაწარმოებს, უმთავრესად პურს დიდი გასავალი აქვს.

ამიტომაც სავაჭრო ფლოტის დაწყება-უნდა ჩაითვალოს მორიგ გამარჯვებათ საბჭოთა ქვეყნის მეურნეობის აღორძინების საქმეში.

## ჯერი რუმინეთის მთავრობაზეა.

რაც დღე მიდის, მით უფრო და უფრო მტკიცდება საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა. განსაკუთრებით ხდება ეს მას შემდეგ, რაც გვიცნო საფრანგეთმა და დაიდო ხელშეკრულება იაპონიასთან. ჰიუზის გადადგომამაც ამერიკაში და საბჭოთა კავშირის ცნობის მომხრეთა გაძლიერება იქ აგრეთვე დიდათ უწყობს ხელს ჩვენი განმტკიცების საქმეს. ასე რომ მსხვილ სახელმწიფოებიდან უკვე არ მოიპოვება არც ერთი, რომელიც კიდევ განაგრძობდეს მტრული, შეურიგებელ პოლიტიკას საბჭოთა რესპუბლიკების წინააღმდეგ. მაგრამ ჩვენი მტრების ბანაკში კიდევ იმყოფებიან წვრილი იმპერიალისტური ქვეყნები, რომლებსაც მოსვენებას არ აძლევს საბჭოთა კავშირის მიღწევები საერთაშორისო ურთიერთობათა ასპარეზზე. ამ მხრივ დიდათ აღელვებულია რუმინეთი, რომელიც დორბლს ყრის საფრანგეთის მიერ საბჭოთა კავშირის ცნობის გამო. მაგრამ ამ ფაქტს კიდევ შეურიგდებოდა რუმინეთი, რომ მეორე მოკავშირე არ გამოსცლოდა ხელიდან

ჯერ კიდევ შარშან იაპონიას და რუმინეთს შორის დაიდო კავშირი, რომელიც მიმართული იყო ჩვენს წინააღმდეგ, მაშინ რუმინეთის ბოიარები (თავადი-მემამულეები) ჰკუას კარგავდენ სიხარულით. მათი ასეთი მხიარული განწყობილებაც სავსებით გასაგები იყო, ვინაიდან რუმინეთს რამდენი მეტი მოკავშირე ეყოლებოდა მუშურ-გლეხური სახელმწიფოს წინააღმდეგ, იმდენათ უზრუნველყოფილი იქნებოდა მისი ავაზაკური დატაცების შენარჩუნება. როგორც ვიცით რუმინეთმაც ისარგებლა სამოქალაქო ომით რუსეთში. იმ დროს, როდესაც რუსეთის კონტრ-რევოლიუცია უტევდა გამარჯვებულ პროლეტარიატს, რუმინეთის მთავრობა შეიჭრა ბესარაბიაში და ძალით მიისაკუთრა ის.

დღემდი ეს მხარე იმყოფება მათ ხელში.

შარშან საბჭოთა კავშირმა მოითხოვა ბესარაბიის საკითხის გადაჭრა არჩევნების საშვალებით, მაგრამ რუმინეთი უარზე წავიდა, ვინაიდან მას მხარს უჭერდა საფრანგეთი და იაპონიაც.

მაგრამ ამ ჟამად კი მდგომარეობა სავსებით შეიცვალა.

საბჭოთა კავშირის სიმტკიცემ და მისმა მიღწევებმა შინაურ აღმშენებლობით ფრონტზე აიძულეს ჩვენი მტრები ეცნათ ის. გვიცნო ჩვენ ორმა დაუძინებელმა მტრებმაც საფრანგეთმა და იაპონიამ. პირველმა დაგვიბრუნა ჩვენ მის მიერ წაყვანილი შავი ზღვის ფლოტი, ხოლო მეორე მაისისათვის გაანთავისუფლებს სახალინის ჩრდილოეთ ნაწილს. ყოველივე ეს ლახვარს სცემს რუმინეთის რეაქციას, რომელმაც დაკარგა ორი საუკეთესო მეგობარი. სულ ადრე ისიც იძულებული გახდება მიყვეს თავის ყოფილ მოკავშირეების მაგალითს და ძალით წართმეული ბესარაბია ნებით დაუბრუნოს მის კანონიერ პატრონს მოლდავიის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკას.

—მ.

## იაპონიის პრესა საბჭოთა კავშირთან შეთანხმების შესახებ.

„ოსაკამაინცი“ აღნიშნავს კარახანის შენიშვნების სისწორეს იმის შესახებ, რომ იაპონია-საბჭოთა ხელშეკრულება ის საძირკველია, რომელზედაც უნდა აშენდეს დიდი შენობათ.

„ოსაკა ასახი“ ამბობს, რომ ხელშეკრულება თავდებია მშვიდობიანობისა წყნარ ოკეანეზე და შორეულ აღმოსავლეთში.

„ნიცი-ნიცი“ აღნიშნავს, რომ რუსეთის მრეწველობისა და მეურნეობის აღორძინება მართლაც რომ განსაცვიფრებელია.

## იჩქარიან ხელშეკრულების დამტკიცებას.

იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრი შიდეხარა ესაუბრა საიდუმლო საბჭოს თავმჯდომარეს და სთხოვა მიიღონ ზომები, რათა არ დაგვიანდეს იაპონია-საბჭოთა ხელშეკრულების დამტკიცება, რაიც უნდა შესრულებულ იქნას 10 თებერვალამდით.

## იაპონიის საქმიან წრეებში.

იაპონიის საქმიანი წრეები სიხარულით ეგებებიან იაპონია-საბჭოთა ხელშეკრულებას, ვინაიდან ეს დიდ გავლენას მოახდენს იაპონიის ვაჭრობაზეთ.

შემჩნეულია ფასების ზრდა იაპონია-საბჭოთა ხელშეკრულებასთან დაკავშირებით.

## ამერიკის პრესა ხელშეკრულების შესახებ.

ნიუ იორკის კონსერვატიულ რესპუბლიკანური გაზეთი „ივნინგ პოსტი“ განმარტავს იაპონია-საბჭოთა ხელშეკრულებას და ამბობს: „საბჭოთა კავშირმა გაიმარჯვა თავის პოლიტიკურ კომპანიაში შორეულ აღმოსავლეთში. ხელშეკრულება მწვავედ ეხება ამერიკის ინტერესებს და იწვევს მისთვის ახალ გაუგებრობას. დღეიდან ამერიკის პოლიტიკას ჩინეთში საქმე ექნება არა მარტო რუსეთის გავლენის ზრდასთან, არამედ რამოდენიმედ იაპონიასთანაც, რომელიც დაუჭერს მხარს საბჭოთა კავშირს.

საბჭოთა გავლენა საფრთხეს უქადის წყნარ ოკეანეს მშვიდობიანობას.

ამერიკის პოლიტიკის გზები მეტად რთულ და ძნელ სახეს ღებულობს.

## პოლონეთის მემამულეები განცვიფრებული არიან იაპონია-საბჭოთა ხელშეკრულებით.

პოლონეთის პოლიტიკურ წრეებში დიდი შთაბეჭდილება მოახდინა იაპონია-საბჭოთა შეთანხმებამ.

გაზეთი „ვარშავკა“ ამბობს, რომ ეს შეთანხმება საბჭოთა დიპლომატიის უდიდესი გამარჯვებაა და ამასთან იცვლება ძალთა განწყობილება შორეულ აღმოსავლეთში იაპონია-საბჭოთა კავშირის მომზადებითო.

## პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადება.

სკშინსკიმ საგარეო საქმეთა კომისიაში განაცხადა, რომ ბალტიის ქვეყნების წარმომადგენელთა ყრილობაზე საიდუმლო თათბირის დროს გამომუშავებულ იქნა მოქმედების საერთო პოზიცა.

პოლონეთისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობის შესახებ სკშინსკიმ განაცხადა; „ჩემი სიტყვის შემდეგ სეიმში ორივე სახელმწიფოები ურთიერთობის შესახებ, არაფერი ახალი არ მომხდარა. პოლონეთის მთავრობას იმედი აქვს, რომ შემდეგში ის შესძლებს გამონახოს გზები სადაო საკითხების გადასაჭრელად და დაამყაროს საბჭოთა კავშირთან კეთილ-მეზობლური განწყობილება.“

## კრასინი გამოემგზავრა მოსკოვში.

გავასის სააგენტოს ცნობით 24 იანვარს კრასინი გამოემგზავრა მოსკოვში.

## კომუნისტების საიდუმლო ბინის აღმოჩენა.

პოლიციამ აღმოაჩინა რომში კომპარტიის საიდუმლო ბინა. შეიპყრეს ორი კომუნისტი. ჩხრეკის დროს თან წაიღეს პარტიული ბილეთები და ცირკულიარები.

## კომუნისტების სტამბის აღმოჩენა.

სოფიიდან მიღებულ ცნობით პოლიციამ აღმოაჩინა იქ, საიდუმლო კომუნისტური სტამბა, რომელშიაც იბეჭდებოდა ფურცლები და არალეგალური გაზეთი.

ჩხრეკის დროს ასოთ-ამწყობებმა გაუწიეს წინააღმდეგობა. მოჰკლეს ერთი მუშა, დააპატიმრეს სამი. პოლიცია აწარმოებს მასიურ დაპატიმრებას.

## დანციგის წინააღმდეგ.

პრესაში გავრცელებულია ხმები, რომ პოზნანში და დანციგის საზღვართან ამზადებენ პოლონეთის ჯარებს დანციგას წინააღმდეგ.

## „ლიბერტეს“ რედაქტორს სცემეს.

საფრანგეთის კომუნისტ რაპპოპორტის შვილმა (ისიც კომუნისტია) სცემა ქუჩაში რეაქციონური გაზეთის—„ლიბერტეს“ რედაქტორს—ემარს.

## ინგლისის მუშები არ დაუშვებენ სამუშაო დღის გაგრძელებას.

„დეილი ტელეგრაფის“ თანამშრომელთან საუბარში ინგლისის სამთო-მადნო მუშათა ლიდერმა სმიტმა განაცხადა, რომ ყოველგვარ ცდებს სამუშაო დღის გაგრძელების შესახებ სასტიკ წინააღმდეგობას გამოუცხადებს მუშები. ზოგიერთ წრეებში არის მიდრეკილება გაჰყონ სამთო-მადნო მუშების ფედერაცია ორ ბანაკად. მაგრამ ჩვენ ყოველღონისძიებას ვიხმართ მაღაროს პატრონების წინააღმდეგ საბრძოლველად.

## ალბანეთის პროექტები.

ალბანეთის მთავრობამ დაადგინა დაშალოს ალბანეთის არმია და შეადგინოს ჟანდარმთა კორპუსი 40.000 კაცისაგან ინგლისის ოფიცრობის ხელმძღვანელობის ქვეშ.

## საბჭოთა ფლოტი ძლიერდება.

ბალტიის გემის მშენებელ ქარხანაში შენდება 4 სავაჭრო გემი. ამ გემების აგება პირველი იქნება საბჭოთა კავშირში ოქტომბრის შემდეგ.

პირველად საფუძველი ჩაეყარა გემი—„ამხანაგი სტალინი“—ს აგებას. ამის შემდეგ გაიმართა მიტინგი, რომელზედაც ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ზინოვიევმა.

### ამხ. ზინოვიევის სიტყვა.

„დღეს ლენინგრადის და განსაკუთრებით ბალტიის ქარხნის მუშათა დიდი დღესასწაულია. ჩვენ ვიწყებთ გემების საამშენებლო მუშაობას. წინედ რუსეთი თავის სავაჭრო გემების 90 პროც. აშენებდა უცხოეთში.

ჩვენ უნდა ავამუშავოთ ჩვენი უზარმაზარი ქარხნები. სავაჭრო ფლოტს დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის. სავაჭრო ფლოტი უმთავრესი ძარღვია მუშისა და გლეხის დაახლოების საქმეში. სავაჭრო ფლოტი უნდა გვემსახურებოდეს ჩვენი ლოზუნგის:—„სოფლისაკენ“—განხორციელებაში.„

### საგემო მშენებლობის პროგრამა.

საზღვაო ტრანსპორტის ცენტრალ. სამმართველოს უფროსმა სერგეევმა როსტას თანამშრომელთან საუბარში განაცხადა, რომ სწარმოებს საგემო მშენებლობის 6 წლიანი პროგრამა. რომ ჩვენ ფლოტი გავაძლიეროთ, საჭიროა სამ მილიონ ტონის ამწევი სავაჭრო ფლოტი. ამ მიზნით გეგმაში გათვალისწინებულია 729.000 ტონის, ამწევი გემების (საერთოდ) აგება. საგარეო ვაჭრობისათვის აგებული იქნება 100-მდე გემი.

## რკპ-ს ცეკას საორგანიზაციო ბიურო რემედასის მუშაობის შესახებ.

რკპ-ს ცეკამ მოისმინა მოხსენება რემედასისი შესახებ და დაადგინა: „რადგანაც რემედასში თავი მოიყარა წევრების საგრძნობმა რიცხვმა, ამისათვის შემდეგისათვის წევრების მასიური მიზიდვა არ იქნას ცნობილი გადაუდებელ ამოცანად“ შემდეგი შეძენა წევრების ჩატარებულ უნდა იქნას ნება-ყოფლობითი წევრობის, საფუძლებზე.

ყურადღება მიექცეს რემედასის ორგანიზაციების შინა მუშაობას.

რემედასის მუშაობის ხელმძღვანელობისათვის მიზანშეწონილად იქნას ცნობილი საბჭოთა კავშირის რემედასის ცეკას შექმნა. საჭიროდ იქნას რემედასის წევრების მინიმალური გადასახადების დაწესება.

დაევალოს რემედასის ცეკას რუსულ სექციას რემედასის საორგანიზაციო გეგმის შემუშავება, რომელიც უნდა წარუდგინოს განსახილველად რკპ-ს ცეკას.

## დე-მონზი საფრანგეთ-საბჭოთა ფინანსიურ თანამშრომლობის შესახებ.

დე-მონზი შეეხო ერთ ბანკეტზე საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის განახლების ისტორიას და განაცხადა, რომ საჭიროა რუსეთის მრეწველობის აღდგენა და საბჭოთა მთავრობამ უნდა მისცეს თავდებობა (მ საწარმოო დაწესებულებებს, რომელთა შემწეობით შესაძლებელია ამ საქმის მოგვარება.

ეხლა საქმე იმაშია, თუ რა გზით შეიძლება აღდგენილ იქნას ფინანსიური თანამშრომლობა. რა თავდებობის მოცემა შეიძლება და რა ფარგლებში. ამ საკითხის გადაჭრა შეიძლება სამედიატორო და საერთაშორისო შეთანხმების გზით, რომელიც მისცემდა რუსეთს ეკონომიური ცხოვრების აღდგენის საშვალებას და აგრეთვე შესაძლებლობას ეკისრა განსაზღვრული ვალდებულებანი.

## რკპ-ს ცეკას პლენუმზე.

## სასოფლო-სამეურნეო გადასახადი და პურის მარაგი.

რკპ-ს ცეკას პლენუმზე, 22 იანვარს ცენტრ. საკონტროლო კომისიის წევრმა ჩუცკაევმა გააკეთა მოხსენება სასოფლო—სამეურნეო გადასახადის და პურის დამზადების შესახებ.

### სასოფლო-სამეურნეო გადასახადი შემცირებულ უნდა იქნას.

სასოფლო—სამეურნეო გადასახადიდან საერთოდ შემოვიდა 254 მილ.მან. აღებული გადასახადი შეადგენს სასოფლო-მეურნეობის საერთო პროდუქციის 8 პროც.; ეს გაცილებით ჩვენ მომავალში დავუკლოთ სასოფლო-სამეურნეო გადასახადს.

### საკითხი რეპრესიების შესახებ.

დიდი ყურადღება უნდა მიექცეს საკითხს რეპრესიების შესახებ. არ უნდა გვავიწყდეს, რომ შეძლებული გლეხი და „კულაკი“ ყოველთვის ვადაზე იხდიდა გადასახადს და ამიტომ რეპრესიების ფართე ხმარება შეეხება მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელთა კეთილდღეობა ჩვენ ყველაზე მეტად გვაინტერესებს.

უნდა მივიღოთ ზომები, რათა მოვსპოთ ამ მხრივ ყოველგვარი ბოროტმოქმედება და თვით ნებობა.

### პურის დამზადების საქმე.

გასულ წელს ვფიქრობდით, რომ რამდენადაც გლეხს დაეწევა გადასახადი, ის იძულებული იქნება გამოიტანოს პური ბაზარზე და სახელმწიფო მომარაგების მომზადებას საშუალება ექნებათ პურის შეძენისა.

მაგრამ ამ წელმა ვერ გაამართლა ამ მხრივ იმედები. მოუსავლიანობამ გამო გლეხი ჩამოიყვანა ძველ მარაგს. გლეხობამ გადასახადი მოიშორა საქონლისა და საქონლის ნაწარმოების გაყიდვით.

### კერძო მარაგი.

კერძო კაპიტალი სხვა და სხვა რაიონებში პურის დამზადებაში სხვა და სხვა როლს თამაშობდა მაგ.: უკრაინაში მან ჩამოაცილა სახელმწიფოს 50 პროც. ურალში—10 პრ. კავკასიაში—25 პროც.

## საუბარი ალბერტ ტომასთან.

### უფლებანი.

ბერლინში ჩავიდა ჟენევის შრომის ბიუროს თავმჯდომარე ალბერტ ტომა, რომელმაც პრესის თანამშრომლებთან საუბარში განაცხადა, რომ მისი მოგზაურობის მიზანია მოლაპარაკება პროფკავშირთა საქმეებზე და აგრეთვე მოლაპარაკება ემიგრანტ რუსების უფლებათა საკითხის შესახებ.

### ჩვენ არ ვსაჭიროებთ.

რუსეთის პოლიტიკურ მდგომარეობის შესახებ ტომამ განაცხადა, რომ ის არ ყოფილა იქ უკვე 7 წელია და დაუმატა:, რომ მომცემს რუსეთის სოციალისტური მთავრობა რუსეთში შესვლის ნებას, მაშინ შემეძლება ბევრი საინტერესო ამბების მოთხრობა საბჭოთა კავშირის შესახებ.

### მუშები აიძულებენ.

ამსტერდამის და პროფინტერნის შესახებ ტომამ განაცხადა, რომ ჟენევის შრომის ბიურო ... რუსეთის პროფესიონალურ ორგანიზაციებთან, დამოუკიდებლად იმისა, თუ რა ხასიათის მთავრობა არსებობს იქ.

### ჩვეულებრივი სოციალ-ლაქუცობა.

დასასრულ ტომამ განაცხადა: „მე მუდამ ვიყავი და ვიქნები რუსეთის ერთგული მეგობარი. მე დარწმუნებული ვარ, რომ დიდი რუსეთის ხალხი უკანასკნელი მძიმე განსაცდელის შემდეგ გამოვა სწორ ისტორიულ გზაზე და, რომ ის მალე დაიკავებს ღირსეულ ადგილს სახელმწიფოებს შორის მის წარსულთან შესაფერის ადგილს.

## ყვითელი კავშირები ერთდებიან.

ამსტერდამის პროფინტერნის თაოსნობით ჩეხიის და გერმანიის სოციალ-რეფორმისტული პროფკავშირები მოლაპარაკებას აწარმოებენ გაერთიანების შესახებ.

## შვეციის ახალი პრემიერი.

გამოქვეყნებულია ოფიციალური ცნობა ბრანტინგის გადადგომის შესახებ (ავადმყოფობის გამო) პრემიერობის თანამდებობიდან. ცნობის თანახმად ის დატოვებულ იქნება კაბინეტის წევრად.

პრემიერად დანიშნულია ვაჭრობის მინისტრი სანდლერი.

## მანიფესტაცია ლენინის ხსოვნის აღსანიშნავად.

მიუხედავად პოლიციის ზომებისა, ზაგრებში (სამხრეთ-სლოვიაში) 600 მუშამ მოაწყო ლენინის გარდაცვალების წლისთავზე მანიფესტაცია. პოლიციამ მიმართა სასტიკ ზომებს და გარეკა მანიფესტანტები.

## ლენინის კვირეული ბორჯომში.

სამგლოვიარო კვირეული დიდი ერთსულოვნობით ჩატარდა.

რეზოლიუციებში გლეხობა ფიცს სდებს დაიჭიროს მჭიდრო კავშირი მუშებთან ლენინის ანდერძების გასახორციელებლად.

ბორჯომის ამასკომის გაფართოებულ პლენუმზე თავი მოიყარა დიდძალმა გლეხობა დელეგატებმა.

ქალაქის პარტიულ კრებაზე გადაყვანილ იქნენ პარტიაში 100 ლენინელი და კომკავშირელი.

## საბჭოთა-ოქროს ფულის მოჭრა.

სწარმოებს მზადება საბჭოთა ოქროს ფულის მოჭრისათვის.

პირველ ხანებში მოსჭრიან ჩერვონცებს, რომლის ზომა და წონა მეფის ოქროს ათ მანეთიანის სწორი იქნება.

## უმუშევართა დემონსტრაცია სტოკჰოლმში.

25 იანვარს სტოკჰოლმში (შვეციაში) გაიმართა უმუშევართა დიდი დემონსტრაცია. დროშებს შორის განირჩეოდა კომუნისტების დროშა საბჭოთა ვარსკვლავით. მიღებულია რეზოლიუცია, რომელშიაც მოითხოვენ დახმარებას, საზოგადოებრივ სამუშაოების მოწყობას და უმუშევართა დაზღვევის მოწყობას.

## ამინიდი საქართველოში.

### ბორჯომში.

ბორჯომში და მის ახლო—მახლო რაიონებში დიდი თოვლი მოვიდა. თოვლის სიმაღლე ზოგიერთ ალაგას 3 არშინს უდრის. ყინვები ადის 10 გრადუსამდე. სოფლებთან კავშირი გაწყვეტილია. მჟავე წყლის ქარხანა სიცივების გამო არ მუშაობს. შუშისა და სახერხი ქარხნები მუშაობენ.

### ქარბუქი ჭიათურაში.

ჭიათურის მხარეზე ქარბუქი მძვინვარებს. ჭიათურის რკინის გზის ხაზზე მოძრაობა შეჩერებულია. შეწყვეტილია აგრეთვე მუშაობა ზოგიერთ მაღაროებში. 3 დღეა მარგანეცი არ იტვირთება. მტვირთავები გადაგზავნილია თოვლიან რაიონებში გზების საწმენდათ. ქარხნები მუშაობენ. მიმოსვლა ახლო მახლო სოფლებთან შეფერხებულია. ზესტაფონის და ჩხარის მცხოვრებლები გაჭირვებას განიცდიან ქალაქთან კავშირის გაწყვეტით. საჭიროა სასწრაფო დახმარება.

### ქარიშხალი ზღვაზე.

უკრაინისა და კავკასიის სანაპიროებზე კვლავ განახლდა ძლიერი თოვლიანი ქარიშხალი. განსაკუთრებით ძლიერია ქარიშხალი კავკასიის სანაპიროებზე. ნავთსადგურებში სდგას რამოდენიმე გემი, რომლებიც ვერ გასულან ზღვაში.

აზოვის ნავთსადგურებში დაიწყო სასტიკი ყინვები. მარიუპოლში ყინვა ადის 23 გრადუსამდი.




# როგორ ჩატარდა ლენინის კვირა ყაზარმაში.

## ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ 1-Ლ ᲚᲔᲒᲘᲝᲜᲘᲡ ᲛᲔ-9 ᲠᲔ ᲐᲡᲔᲣᲚᲨᲘ.

1-ლ ქართული მსრ. ლეგიონის მე 9-რე ასეულში ლე-[ნ]ინის კვირეული ჩინებულად ჩატარდა. გარდა პოლიტ. საა-[თ]ების ყოველდღიურად იმართებოდა საუბრები ლენინის ცხოვ-[რ]ებიდან და მისი რევოლიუციონურ მოღვაწეობიდან. წითელ არ-[მ]იელებში ამ საუბრებმა დაბადა ბევრი სხვა და სხვა კითხვები.. სა-[უ]ბრებმა დააინტერესა წითელ-არმიელები, რაიც მაჩვენებელია [იმ]ის, რომ ასეულის წითელ—არმიელებში გაიზარდა ცოდნის [წ]ყურვილი.

სამხკორი მ. ხიდაშ.

## ᲛᲔᲗᲐᲣᲠᲗᲐ ᲡᲙᲝᲚᲐᲨᲘ.

(ა. ლ. კავშირის მუშაობა).

მეთაურთა სკოლის ა. ლ. კ. კავშირის მუშაობა ძლიერ [ნ]ყოფიერად მიმდინარეობს.

არ შეიძლება ითქვას, რომ კავშირის რომელიმე წევრი [პ]ასიური იყოს, რომ გულგრილად უყურებდეს კომუნისტურ [აღ]მრზდელობით მუშაობას.

მოახლოვდა თუ არა ლენინის ხსოვნის კვირეული, ყვე-[ლ]ა ენერგიულად ჩაება კუთხის მოწყობისა და კვირეულის [ჩა]ტარების მუშაობაში: კვირეული ჩინებულად ჩატარდა.

ვ. ბერიძე.

## ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲙᲕᲘᲠᲐ ᲩᲕᲔᲜᲗᲐᲜ.

[ჩვენ] ასეულში ჩავატარეთ ლენინის დღეებისათვის მზადება 18 იან. [და]იწყო, ლენინის კუთხის გადახალისება, კუთხის მოწყობა [ფერ]ადი პლაკატებით, ლოზუნგებით, წარწერით. 21 იანვარს [კე]დლის თანავე დაინახავდით ბელადის სურათს, რომელსაც [ამ]შვენებდა გარშემო შემორტყმული სხვა და სხვა ფერის ლა-[მპ]არები.

ამავე დღეს გამოვიდა ჩვენი ასეულის ორკვირეული კე-[დ]ლის გაზეთი. გაზეთს ზევიდან დაყურებს ბელადის სურათი [ქ]ვევით კი მოთავსებულია შინაარსიანი წერილები, უმთავრე-[სა]თ ლენინიზმის შესახებ. ასეთი კედლის გაზეთი ჯერ არ ახ-[სოვ]ს ჩვენს ასეულს.

მთელი კვირის განმავლობაში სისტემატიურათ ტარდე-[ბო]და მოხსენებები ამხ. პოლიტხელ ჩაჩანიძის ხელმძღვანელო-[ბი]თ. მოხსენება ბევრმა გააკეთა, მაგრამ მათ შორის აღსანი-[შნ]ავია სკოლის, ქართული ენის მასწავლებლის ამხანაგ ა. გო-[გ]აძეს მოხსენება.

მომხსენებელი უმთავრესათ შეეხო ლენინის ცხოვრებას [და] მის მოღვაწეობას.

ლენინის კვირის ჩატარებამ ჩვენ ასეულს პოლიტიკურად [და] კულტურულადაც ბევრი რამ შემატა.

წ. არ. პაპიძე.

## ᲡᲐᲦᲐᲛᲝ ᲓᲘᲕᲚᲐᲖᲐᲠᲔᲗᲨᲘ.

24 იანვარს, დივიზიის ლაზარეთის კლუბში გამართულ იქმნა საღამო, მიძღვნილი ლენინის გარდაცვალების წლის თავზე, რომელსაც დაესწრენ ლაზარეთის ყველა თანამშრომლები წითელ არმიელები (სანიტრები) და აგრეთვე ზოგიერთი იქ სამკურნალოთ მყოფი წითელი არმიელები.

ამხ. პატარაია: პოლიტ-განყოფილების წარმომადგენელი აკეთებს მოხსენებას, შემდეგ თემაზე: „ერთი წელი ულენინოთ".

მოხსენება ეხებოდა საბჭოთა კავშირის მდგომარეობას და საბჭოთა აღმშენებლობის მიღწევებს ერთი წლის განმავლობაში.

დასასრულ მომხსენებელი მოუწოდებს ამხანაგებს, მედგრათ დაიჭირონ ხელში ლენინის დროშა, მტკიცეთ დაირაზმონ კომინტერნის რიგებში, რაც თავდებია მსოფლიო რევოლიუციის გამარჯვების- შეკითხვებზე, მომხსენებელმა გასცა სათანადო პასუხი. მოხსენების შემდეგ წაკითხულ იქმნა სია იმ წითელ არმიელების (სანიტრებისა), რომელნიც კეთილ სინდისიერათ და შეურყევლად ასრულებდენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას, განსაკუთრებით კი, რომელნიც კარგათ ეპყრობოდენ და უვლიდნენ ავადმყოფ წითელ არმიელებს.

აღნიშნენ ისინიც, რომელნიც სისტემატიურად ესწრებოდენ მეცადინეობას, რითაც შესძლეს მოკლე ხნის განმავლობაში წერა-კითხვის შესწავლა, რომლის მნიშვნელობაზე მიგვითითებდა ჩვენი უდიდესი მასწავლებელი ამხ. ლენინი. სიაში ნაჩვენებ წითელ არმიელებს დაურიგდათ სხვა და სხვა საჩუქრები, ზოგიერთებს გამოეცხადათ უღრმესი მადლობა სამსახურის კეთილ სინდისიერად შესრულებისათვის.

აღსანიშნავია ის, რომ საჩუქრის და მადლობის სახით ერთ-ერთ წითელ არმიელს მიეცა უვადო შვებულება, რომელმაც მოსვლისას არ იცოდა წერა-კითხვა და ეხლა კი მცოდნე ბრუნდება თავის სოფელში, რაც თვალით დაანახებს გლეხობას, თუ რას წარმოადგენს დღევანდელი ყაზარმა.

მარტვილელი.

## ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲘᲡ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲒᲣᲜᲓᲨᲘ.

ჩვენს გუნდში ამ ჟამად ირიცხება დაახლოვებით ოცდა თერთმეტი წითელ-არმიელი. წითელ-კუთხეებში სისტემატიურად სწარმოებს მეცადინეობა. დაარსებულ იქნა დრამატიული წრე, რომელიც ამ დღეებში შეუდგება წარმოდგენების ჩატარებას.

პარტკორი მზვერავი.

## ᲛᲝᲒᲕᲔᲪᲘᲗ ᲐᲓᲣᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲬᲧᲐᲚᲘ.

პირველ ლეგიონის სამზარეულოში არ ადუღებენ წითელ-[არ]მიელებისათვის ჩაის წყალს. ლეგიონის ფურნის წინ სდგას [ქვ]აბი, რომელშიაც ცხელდება წყალი პურის საზელად. ადუ-[ღე]ბული წყალის მაგივრად წითელ-არმიელებს მოაქვს ეს ცხე-[ლ]ი წყალი და მასში ხარშავენ ჩაის. რათქმა უნდა ასეთი ჩაი [ავ]ნებელია. საჭიროა ყურადღება მიექცეს ამ გარემოებას ვი-[ნ]აც ჯერ არს.

წით. არმ. ბეთლეველი.

## [ᲪᲐ]ᲚᲙᲔ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲐᲡᲔᲣᲚᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲐ.

[1]. პოლიტიკური მუშაობა [ჩვ]ენ 1-ლ ქ. მ. დ. ცალკე [კა]ვშირო ასეულში პოლი-[ტი]კური მუშაობა უკვე მოწეს-[რი]გდა, ღირსეულ პოლიტ. და [მე]თაურთა შემადგენლობის და [წი]თელ-არმიელთა ენერგიული [ძალ]ით. პოლიტსაათი ტარდება [ყოვე]ლ დღიურათ 8-ს 9, სა-[და]ც წითელ-არმიელები გულ-[მო]დგინეთ უსმენენ პოლიტხე-[ლ]ის საუბარს. მეცადინეობა [კი] ტარდება ორ ჯგუფათ, [რა]დგანაც ასეულში არიან და-ნაწილებული წითელ-არმიელები სხვა და სხვა სამუშაოებზე. წითელ-არმიელები პოლიტ-საათის საგნებს კარგათ ითვისებენ. მეცადინეობა სწარმოებს კომპლექსიურ მეთოდით რადგანაც ასეულში წ. არმიელების 40 პროც. განვითარებული და მომზადებული არ იყო. განზრახული აქვს სამხკომს ამ მოკლე ხანში მოაწყოს პოლიტლატარია, სადაც წ. არმიელებმა უნდა დაამტკიცონ რომ ტყუილათ არ ატარებს პოლიტხელი პოლიტსაათს.

**სასკოლო საქმე.**

2. ასეულში იქნა გახსნილი წერა-კითხვის უცოდინართა სალიკვიდაციო სკოლა. ამ სკოლაში ესწრებიან წ. არმიელები რომლებიც წერა-კითხვის მცირე მცოდნენი არიან ანდა სრულიად უცოდინარი.

წერა-კითხვის არ მცოდნენი ბეჯითად მეცადინეობენ, რაც ამტკიცებს მათ მხრივ მეცადინეობის სურვილს. სალიკვიდაციო სკოლა მოკლე ხანში გამოუშვებს პირველ პარტიას.

**სამხედრო საქმე.**

3. სამხედრო საქმის პრაქტიკული და თეორეტიული მეცადინეობა წარმატებით მიმდინარეობს. პრაქტიკულ სამუშაოზე წითელ-არმიელებმა სათანადოთ გამოიყენეს შეძენილი თეორეტიული ცოდნა.

**საკლუბო მუშაობა.**

4. მართალია კლუბი დღემდის არ გვაქვს რადგან ნაწილი პატარაა, მაგრამ სამაგიეროთ სამკითხველო გვიწყობს ხელს. ასეულში დაარსებულია უკვე ექვსი წრე. უნდა ითქვას, რომ ყველა წრეები ჯერ-ჯერობით არ მეცადინეობენ სისტემატიურათ, პროგრამების უქონლობის გამო. სისტემატიურათ გვამეცადინებს პარტ-სკოლის წრეში ამხ. ქელიძე, კვირაში ორხელ. წითელ-არმიელები დაინტერესებული არიან სასოფლო სამეურნეო წრით. სისტემატიურად გამოდის ორკვირეული კედლის გაზეთი, რომელში ჩაბმულია, როგორც წ. არმიელები, ისე უფშემადგენლობა. ტარდება აგიტ. კომპანიები და საღამოები, განზრახულია მოკლე ხანში პიესების დადგმა დივიზიის კლუბში.

შალაშინი.

## ᲐᲛᲑᲔᲑᲘ ᲡᲝᲤᲚᲔᲑᲘᲓᲐᲜ.

**არჩევნები ახალქალაქის მაზრაში.**

ახალქალაქის მაზრა დაყოფილია ათ თემათ, თვითეულ თემთან არსებობს ცალკე სათემო საარჩევნო კომისიები. მიუხედავათ დიდი თოვლისა არჩევნები მაინც წესიერათ მიმდინარეობს.

**ხეტყვასთან ბრძოლა.**

სიღნაღის აღმასკომმა დაადგინა გადასცეს სეტყვის საწინაამდეგო შუშხუნების გაყიდვის უფლება, ადგილობრივ მონადირეთა კავშირს.

**ობლებზე ზრუნვა.**

თელავის აღმასკომმა დაადგინა დაანგრიოს თელავში ჩხიკვაძის ობლების კუთვნილი ძველი დაზიანებული შენობა, უბედურ შემთხვევათა თავიდან ასაცილებლათ და სამაგიეროთ გადასცეს მათ ერთ-ერთი საფონდო შენობა.

**სარაჯიშვილის სახელობის სკოლა სიღნაღში.**

სიღნაღის აღმასკომმა დაადგინა თებერვლიდან გახსნას ვანო სარაჯიშვილის სახელობის სამუსიკო სკოლა, სადაც მიღებულ იქნება 80-მდე მოწაფე. თითო მოწაფეს თვეში გადახდება 3 მანეთი. სკოლის გახსნასთან დაკავშირებული ყველა ხარჯები აღმასკომმა მიიღო თავის თავზე.

**წყალსადენის გაყვანა.**

სოფ. ურიათუბანის (თელავის მაზრა) გლეხებმა დაადგინეს გაიყვანონ ადგილობრივ წყალსადენი.

**გლეხთა ახალგაზრდობის მოსამზადებლათ.**

ახალქალაქის აღმასკომს განზრახული აქვს გახსნას, გლეხთა ახალგაზრდობის სკოლების მოწაფეთა წინასწარ მოსამზადებელი ჯგუფები ქალ. ახალქალაქში.

**კურსები კომკავშირელთათვის.**

შულავერში გაიხსნა ახალგ. კომკავშირელთა საზოგადო მოსამზადებელი კურსები. მეცადინეობა ყოველდღე სწარმოებს.

**არჩევნები ახალციხის მაზრაში.**

ახალციხიდან მოსული ცნობებით დიდი თოვლის გამო იქ ძლიერ ბრკოლდება საარჩევნო კომპანიის ჩატარება. ამის გამო შუამდგომლობენ, რომ არჩევნები გადადებულ იქნეს მოკლე ვადით.

## ᲛᲔ-6-ᲡᲔ ᲛᲡᲠᲝᲚᲔᲚ ᲚᲔᲒᲘᲝᲜᲨᲘ.

10, იანვარს მე-6სე მსროლელ ლეგიონის 1-და-2-რე ათასეულში შემდგარ ღია კრებას დაესწრო აღნიშნულ ათასეულების მთელი შემადგენლობა. დღის წესრიგში დასმული იყო მხოლოდ ორი საკითხი: კომუჯრედის დაარსება ამავე ათასეულში და სხვა მიმდინარე საკითხები.

კომ უჯრედის დარსების საჭიროების, შესახებ ილაპარაკა რამოდენიმე ამხანაგებმა. აღნიშნეს თუ რა როლს ითამაშებს ის ჩვენს ამხ. წითელ არმიელების და უფშემადგენლობისა პოლიტიკურად განვითარების საქმეში. კომ—უჯრედი ჩააბამს აქტიურ მუშაობაში, როგორც პარტ. წევრებს, კანდიდატებს, აგრეთვე უპარტიო ამხანაგებსაც და მისცემს მათ სავალ გზას შეგნებისა და კომუნისტური პარტიის რიგები გაძლიერებისაკენ ეს აუცილებელია, რადგან ბევრი ჩვენთაგანი იდეიურად მოისუსტებს.

კრება აღფრთოვანებით შეხვდა ამ საკითხის, განხორციელებას, რის შემდეგ ამოირჩიეს კომუჯრედის მდივანი, რომელსაც უსურვეს ენერგიული და დაუღალავი მუშაობა, რათა სათანადოთ ჩამოაყალიბოს ახლად დარსებული უჯრედი.

პარტკორი: დანელია.

# ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ.

**მე 2-ასეულის კომუჯრედში.**

17 იანვარს შესდგა 1-ლ. ქართულ მსროლელ ლეგიონის მე-2-რე ასეულის კომუჯრედის და ახ. ლ. კ. კ ჯგუფის გაერთიანებული ღია კრება. კრებას დაესწრო ყველა პარტ. შემადგენლობა, დაესწრენ აგრეთვე უპარტიო წ. მოლაშქრენიც. დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: ძველი ოქმის დამტკიცება და განცხადებების გარჩევა. გარჩეულ იქნა მრავალი განცხადებები, რომლის დროსაც გადარიცხულ იქნა პარტიაში 4 ახ. ლ. კ. კ. წევრი და 10 უპარტიო წ. მოლაშქრე მიღებული იქნა პარტიაში კანდიდატად. ასეთ მოვლენას ჩვენს ასეულში დიდის სიხარულით ეგებებიან წითელ-არმიელები, რომლებშიაც იზრდება ლტოლვა პარტიისაკენ.

პარტკორი. მ. ტაბატაძე.

**საგაუბიციო ბატარეიაში.**

24 იანვარს გაიმართა საგაუბიციო ბატარეიის მთელი შემადგენლობის კრება. კრებაზე გასარჩევი გვქონდა დიდი მნიშვნელობის საკითხები. 1-ლ რიგში იდგა საკითხი, კომპარტიისა და კომკავშირის ამოცანების შესახებ.

ამ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა ამხ. დოლუზაშვილი. მან ვრცლათ და მკაფიოთ განმარტა ამ ამოცანების მნიშვნელო-

ბა, აღნიშნა თუ რა მოვალეობა აწევს ყველა ჯარში მყოფ პარტ. ამხანაგებს და სხვა. აღნიშნულ მოხსენების შესახებ მიიღეს შესაფერი რეზოლიუცია.

შემდეგ კრებამ მოისმინა საინფორმაციო მოხსენება ამხ. წულაიასი და ფაბრიკის კომუჯრედის მდივნის მომხსენებელი უმთავრესათ შეეხო კავშირისა და დამოკიდებულების გაძლიერებას ჯარსა და სამოქალაქო ორგანიზაციებს შორის.

აღნიშნული მოხსენების შემდეგ გარჩეულ იქნა მიმდინარე საკითხები.

წით. არმ. გრ. ბარათაშვილი

# შინაურ ცხოველების და ადამიანის გადამდები სნეულებანი.

(გაგრძელება)

**ცოფით ავადგახდომის ნიშნები.**

ცოფი ორნაირი ფორმისაა: მძაფრი და ჩუმი. როდესაც ცოფის გამომწვევი მიზეზი თავის ტვინში არის მოთავსებული—ცხოველი მძაფრი ცოფით არის ავად, როდესაც ხერხემლის ტვინში—ჩუმი ცოფის ფორმით.

მძაფრი ცოფით ავადმყოფ ცხოველს, უმეტეს ნაწილად ძაღლებს, ახასიათებს შემდეგი ნიშნები. ავადმყოფობის პირველ ხანაში ცხოველი სავსებით იცვლის ხასიათს: ბნელ კუთხეებში იმალება, თავის პატრონს ველარა სცნობს, უზომოდ გაღიზიანებულია, სახლს სტოვებს, ვისაც შეხვდება ყველასაკენ საკბენად იწევს, თანდათან ჭამის მადას ჰკარგავს, სხვა და სხვა მაგარ საგნებს (ხის ნატეხებს, კენჭებს, ბალანს) ყლაპავს, შემდეგ ყლაპვის უნარსაც ჰკარგავს, პირიდან დორბლს აქცევს და ბოლოს ვერც გარედ და ვერც შარდზედ გადის. ავადმყოფობის მეორე ხანაში მძაფრიანობა დადუნებათ ეცვლება, სასულე და საყლაპავი უდამბლიანდება, ხმა ეცვლება, საჭმელს ველარა სჭამს, ვერც წყალსა სვამს, ტანის უკანა ნახევარი ერთმევა, ფეხები უკავდება, ტანზე ძლიერა ხდება, მთელი ტანი ეკუნჩხება და ბოლოს მე-5—6-ე დღეს კვდება.

ჩუმი ცოფის დროს ცხოველი არავითარ გაღიზიანების ნიშნებს არ იჩენს, უცბად დამბლად ეცემა, ჯერ ქვედა ყბა უკავდება, შემდეგ ტანის მთელი უკანა ნაწილი და 2—3 დღეში კვდება,

რადგან ცოფი მოურჩენელი ავადმყოფობაა და მის ექიმობას არავითარი აზრი არა აქს, ამისთვის უკეთესია დაკბენილი ცხოველი ან პირდაპირ მოვკლათ, ან გამოვაცალკეოთ; იმ დრომდის გვყავდეს გამოცალკევებული, სანამ არ გამოიკვლევა ცოფიანი არის იგი თუ არა. თუ საეჭვო და ცოფიან ცხოველებს თავის დროზე მოვსპობთ, იმ შემთხვევაში არც ცხოველს და არც ადამიანის მათ მიერ დაკბენას ადგილი აღარ ექნება და ამ უკანასკნელთან ერთად არ ექნება ადგილი აგრეთვე არც ცოფით ავადმყოფობას.

ცოფით მკვდარი ცხოველი გაჭრის დროს არავითარი განსაკუთრებული ნიშნებით არ ხასიათდება. მას აქვს მხოლოდ შინაგანი ორგანოების საზოგადო ცვლილებები როგორიც არიან, მაგალითად: სიგამხდრე, სისხლის სიშავე და სისქელე; პირის, ყელის და კუჭის ლორწოიანი გარსის სიწითლე, ღვიძლის და ელენთას სიდიდე და აგრეთვე ის, რომ ასეთი ცხოველის კუნთები აგურის ფერისაა და მის კუჭში ყოველთვის ისეთ მოუნელებელ საგნებსა ვხვდებით, როგორიც არიან, მაგალითად: ხის ნატეხები, ქვა, კენჭები, ბალანი, პატარა ლურსმები და სხვა.

ვეტექიმი ფარეიშვილი

# სამხედრო საქმე

## მძიებლის მხედველობა და სმენა.

მძიებლისათვის აუცილებელ თვისებას წარმოადგენს განვითარებული გრძნობანი.

ეს შესაძლებელია მიიღოთ პრაქტიკის საშუალებით. მაგალითისათვის აიღეთ რომელიმე კარგი სათვალთვალო პუნქტი; დაუწყეთ თვალთვალი რომელიმე საგანს შეუიარაღებელი თვალებით და შემდეგ თქვენი შედეგები გადასინჯეთ ბინოკლის საშვალებით. მეორე შემთხვევაში მოიქეცით პირიქით. ჯერ დაათვალიერეთ ბინოკლით და შემდეგ შეეცადეთ უბინოკლოთ შემჩნევა ყველა იმისა, რაც შეამჩნიეთ ბინოკლში.

მოძრავი საგნის შემჩნევა და თვალთვალი უფრო ადვილია, ვიდრე უძრავისა.

ამას უნდა მიექცეს ყურადღება.

შორ მანძილზე დასათვალიერებლათ მიმართეთ შემდეგ ილეთს:

დაწევით მუცლით, ინდაყვები მიაბჯინეთ მიწას და გაშლილი ხელების თვალ ზევიდან მიდობით შეამცირეთ სათვალთვალო სივრცე. ეს საშუალება მოგცემს თქვენ სავსებით და დეტალურათ დაათვალიეროთ სათვალთვალო საგანი, იყო შემთხვევები, რომ ასეთი ილეთით შემჩნეული იქმნა 20 კილომეტრზე ცხენები, კერას კვამლი და სხვა.

ჯარების შემჩნევა შეიძლება 2 კილომეტრზე. ცხენოსანი კაცი ხსენებულ მანძილიდან მოსჩანს წერტილათ.

ერთ კილომეტრის მანძილზე შეგიძლიათ გაარჩიოთ ქვეითი ჯარი ცხენოსან ჯარისაგან. ნახევარ კილომეტრის მანძილზე შეგიძლიათ გაარჩიოთ კაცის ტანისამოსი, ფორმა და სხვა.

საგანი რამდენათ განათებულია იმდენათ ის ახლო გეჩვენებათ.

ხმა გადის წუთში 1120 ფუტს.

ამ გვარათ შეგიძლიათ გამოიანგარიშოთ თქვენ მანძილი გასროლილ იარაღიდან თქვენამდე, თუ კი შეამჩნიეთ გასროლა, რასაც ცოტა ხნის შემდეგ მოყვება ხმაც.

ღამის სიბნელეში და სიწყნარეში ცხენების ფეხის ხმა და ადამიანის ლაპარაკი უფრო შორი მანძილიდან მოისმის ვიდრე დღე.

მიადევით ყური მიწას და მიწაში დასობილ ჯოხს და თქვენ ფეხის ხმას გაიგონებთ შორი მანძილიდან.

მ. გ.

# უცხოეთის არმიებში და ფლოტში.

**მტაცებლობის დაკანონება.**

რუმინეთის პრესა მოითხოვს რუსეთის იმ ქონების კონფისკაციას, რომელიც ამ ჟამად ინახება რუმინეთში. აქ უთუოთ ლაპარაკია იმ ქონებაზე, რომელიც დარჩა რუსეთის არმიებს იქ და შეძენილ იქნა კიდევ ბესარაბიის ოკუპაციის დროს. ამ ქონების შესახებ ამხ. რაკოვსკიმ აღნიშნა ინგლის-საბჭოთა კონფერენციაზე განსაკუთრებულ დეკლარაციით, ეს ქონება უმთავრესად შესდგება სამხედრო, საინტენდანტო, რკინის გზის და წითელ ჯვრის მასალებისაგან. თუ რამდენათ დიდია ეს ქონება, შეიძლება იქიდან დავასკვნათ, რომ მარტო რკინის გზის ქონება დატაცებულია შემდეგ რაოდენობით: რკინის გზის ხაზის მასალა 993 ვერსის საჭიროებისათვის, 443 ორთქლმავალი, 7 ათას ვაგონზე მეტი.

გარდა ამისა, რამოდენიმე ადგილას დარჩა აუარებელი რკინის გზის ბატალიონების ქონება. დანარჩენ ქონების რაოდენობის გამორკვევა ძნელია, დაახლოებით კი შეიძლება მისი წარმოდგენა მაგ. კიშინიოვში და ბენდერში, ყოფილ ინტენდანტის თქმით, ბინოკლი მარტო წაღებულია 10 ათასი ცალი. შემდეგ მდინარე პრუტზე, დუნაიზე, დნესტრზე მომუშავე გემები, ბუქსირები, საბარგულები მიითვისენ. როგორც ვსთქვით, დატაცებულ ქონების სრული რაოდენობის გამორკვევა ძნელია. ეხლა რუმინეთის პრესა მოითხოვს ამ ქონებათა კონფისკაციას, რადგან, უთუოდ, რუმინეთის მთავრობის წინა მიღებულ ზომებს არ სცნობ კანონიერად.

**წარჩინების ორდენი ფოსტის მტრედს.**

საფრანგეთის სამხედრო პრესამ აღნიშნა საფოსტო მტრედის № 183—14 A სიკვდილი, რომელმაც თავი ისახელა ვერდენთან, რისთვისაც დაჯილდოვებული იქნა დიპლომით და სამხედრო მედლით. როგორც დიპლომიდან სჩანს, მტრედმა „ვერდენზე ცხარე შეტევის დროს, 1916 წლის ივნისს, სამხედ მიიტანა ფრიად მნიშვნელოვანი ბრძანებები და მოხსენებანი ფორტ ვო—ზე, რომელიც მოკლებული იყო დანარჩენ მხარესთან კოველგვარ კავშირს.

ეს მით უფრო ძნელი იყო, რომ მტრედს ხელს უშლიდ ატმოსფერული მიზეზები და მტრის არტილერიის საშინელ ცეცხლი". ეს დამახასიათებელ მაგალითია იმისა, თუ რა სა სახურის გაწევა შეუძლია მტ ედს ომის დროს.

## შეცდომის გასწორება.

ჩვენი გაზეთის კვირის № 18-ში მოთავსებულ ოფიციალურ ცნობაში გაგვეპარა კორექტორული შეცდომა. სწო საარტილერიო ცხენებს უნდა ეძლიოთ ყოველდღე თივა (1 თექვსმეტი გირვანქა" უნდა იყოს: თხუთმეტი (15) გირვან

# სამხედრო ტრიბუნალში.

**„კარუტოზე" თავდამსხმელთა საქმე.**

„კარუტო" შემოკლებული სახელია კავკასიის სამთო-მადნო ამხანაგობის კანტორისა. აღნიშნული კანტორა, როგორც ვიცით გაძარცვეს 1923 წლის 11 დეკემბერის საღამოს, ყაჩაღებმა. ბცროტმოქმედნი დაპატიმრებულ იქნენ სხვა და სხვა დროს და დღემდე იჯდნენ გამასწორებელ სახლში. ამ „წმიდა ძმობას" სულ 13 წევრი ყავდა. მათ შორის ორი უკვე მოკლულია და 11 დღეს წარდგენილია პროლეტარული მართლმსაჯულების წინაშე. თითქმის ყველანი წესიერათ არიან ჩაცმული და გამოიყურებიან ძლიერ გამოცდილი სახეებით. ზოგი ერთი მათგანი, როგორც ილყვიან ეხლაც „ცეცხლსა ყრიან თვალებიდან."

ყველაზედ უფრო „სანახავ ნახული" ეტყობა ბორის ხრაპკინია.

ის იყო, რომ რევოლვერით შეიჭრა კანტორაში და პირველმა გაღო ფულის სალარო გარდა ამისა მას „წარსულიც" ჰქონია. უწინ, თურმე იგი მსახურებდა მილიციის მაძიებელ ორგანოებში ითვლებოდა შესაფერის თანამშრომლათ.

გერასიმე თავართქილაძისათვისაც ეს შემთხვევა არაა პირველი. ერთხელ მას და მის „ძმებს" გაუძარცვავთ გემი შავ ზღვაზე. ხელობით კი ფარმაცევტია მაგრამ, რას იზამ კაცი, ცოტა ჯამაგირს ღებულობდა თურმე, წლოვანებით ყველანი ახალგაზრდები არიან ახე 25 და 35 წლამდე.

**სასამართლოს შემადგენლობა.**

საქმის გარჩევა დაიწყო 26 იანვარს საღამოს საქართველოს „საოლქო სასამართლოს დიდ დარბაზში. სასამართლოს თავმჯდომარეობს ამხ. ნ. ენუქიძე. წევრებათ არიან ამხ. ხიხაძე და გოგიჩაიშვილი.

**მოწმეების წინასწარი დაკითხვა.**

სასამართლომ დაიწყო მოწმეების წინასწარი დაკითხვა. სულ გამოწვეულია 40-დე მოწამე. წინასწარი დაკითხვის შემდეგ მხარეებმა აღძრეს შუამდგომლობანი დამატებითი მოწამეების გამოთხოვის შესახებ სასამართლომ დააკმაყოფილა, მცირე თათბირის შემდეგ აღნიშნული შუამდგომლობანი, რის შემდეგაც შეუდგნენ

**საბრალდებულო ოქმის კითხვას.**

საბრალმდებლო ოქმი შეიცავს სულ 64 გვერდს იქ დაწვრილებითაა აღწერილი თუ როგორ და რა პირობებში მოხდა გაძარცვის საქმე, ან ვინ იყო მთავარი სულის ჩამდგმელი ამ ყაჩაღთა ბრბოსი და სხვა.

აღსიშნული ბრალდებულები სულ სხვა და სხვა პირობებში გასცნობიან ერთი მეორეს. ბრბოს ორგანიზატორები ყოფილან დიმიტრი ქარუმიძე და მიხ. ვანიძე. აიჩინეს ცალკე ბინა, იყრიდენ იქ თავს და ეძებდნენ საკბილოს. ამასობაში ისინი შეხვდნენ რუსეთიდან ჩამოსულ ბორის ხრაპკინს. რამოდენიმე ხნის შემდეგ გამოჩნდა საკბილო საქმე. ეს იყო კარუტოს ანუ კავკასიის სამთო მადნო ამხანაგობის კანტორა, სადაც ინახებოდა დიდძალი თანხა. ერთ საღამოს მათ იშოვნეს წითელ არმიელთა მაზარები, გამოეწყვნენ და წავიდენ კანტორაზე თავდასასხმელათ, ეს იყო 11 დეკემბერს საღ. 7. საათზე ამ დროს კანტორაში მუშაობდნენ თანამშრომლები. მძარცველებმა დააყენეს თავის ხალხი კარებში, ეზოში და მეეზოვესთან. დანარჩენი შეცვივდენ ოთახებში.

დააწვინეს ყველა იქ მყოფნი ძირს, გაალებიეს ფულის სალაროები და წაიღეს 5406 გირვანქა ინგლ. სტერლინგი 839 ჩერვონეცი, 1028 გერმ. მარკა, ძველი ნიკოლოზისეული ფული, 1135 ამერიკ. დოლარი და სხვა წვრილი ფული. ძარცვა გაგრძელდა 10 წუთი, რის შემდეგ ყაჩაღები წავიდენ თავიანთ ბინაზე და შეუდგნენ ნადავლის გაყოფას. როგორც ჩვეულებრივათ ხდება ხოლმე, ვერც ისინი ვერ ასცდენ ფულის გაყოფის დროს სკანდალს. ერთ ამხანაგს, რომელიც მეეზოვესთან დააყენეს მისცეს ნაკლები თანხა და როდესაც მან გაზეთებიდან გაიგო, რომ ამოდენი და ამოდენი წაუღიათო, ასტეხა ალიაქოთი.

ყველა წვრილი ფული, ჩეკები, ბონები და ძველი ფულები მათ დასწვეს. ეტყობა მათ დაუწვავთ აგრეთვე ამერიკული დოლარები.

(გაგრძელება იქნება.)

დ.

# ახალი ამბები

— **წითელ არმიელთა მომზადება სასოფლო მეურნეობაში.** ცალკე საკავშირო ასეულში იანვრიდან დაარსდა სასოფლო სამეურნეო წრე, სადაც სწარმოებს მეცადინეობა წითელ არმიელთა შორის.

— **წითელ არმიელთა წრეები.** 1-ლ ლეგიონში 1924 წლის განმავლობაში არსებობდა 3 სამხატვრო-საპროპ. წრე, რომელშიაც მეცადინეობდა 75 კაცი. სულ ყველა წრეებში მუშაობდა 117 წით. არმ. და 20 უფპოლიტშემადგენლობა.

— **მცხეთის ტფილისზე შემოსაერთებლათ.** ტფილისის ალმასკომმა დაადგინა გადასცეს საგეგმო კომისიის შესასწავლათ მცხეთის ტფილისზე შემოერთების საკითხი.

— **თბილი ტანისამოსი ბავშვებისათვის.** პროვინციაში არსებულ ბავშთა ტანისამოსების შესაძენათ განათლების კომისარიატმა გადასდო 3 ათასი მანეთი.

— **მებამბეობა საქართვ**ელოში. ა. კ. მებამბეობის კ მიტეტის ხელმძღვანელობ წლეს მთელ საქართველო დათესილ იქნება ბამბა 5.5 დესეტინაზე.

— **ტანისამოსი მეეზოვე** მუშათა საბინაო კოოპერატ მა გადასწყვიტა მუშათა სახ ბის მეეზოვეებს დაურიგოს ეც. ტანისამოსი.

— **კანალიზაცია.** ახალი ნალიზაციის გასაყვანათ და ძ ლის შესაკეთებლათ ტფ. მასკომმა გადასდო 68.963 ნეთი.

— **გზების შესაკეთებლ** ტფილისის მაზრაში გზების საკეთებლათ და ახალი გზ გასაყვანათ ტფილისის ალ კომმა გად,სდო 45.788

— **საექიმო დახმარება ხოვრებლებს.** ტფ. ალმასკო 11 საექიმო სადგურში წარ ლი წლის განმავლობაში გ ვლია 7.984 ავათმყოფს.

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლა

## განცხადება.

პარასკევს 30 იანვ. დილის 11 საათზე ცენტრ. წითელ მიელთა კლუბში შესდგება სემინარების მორიგი მეცა ნეობა. სავალდებულოა დასწრება: კლუბის უფროსების, პოლ ხელების, ბიბ. გამგეების და ასეულის ბიბ. გამგეების.

ხელმძღვანელი ტ. წვენიევი.

ნ. დ. ს. ც. სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3. ტირაჟი 1200.